ხელშეკრულება № 20

ქ. ნინოწმინდა 19.02 2013 წელი

ქ. ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო, საკრებულოს თავმჯდომარის ვლადიმირ სტამბოლციანის სახით, შემდგომში "დამკვეთი." მეორეს მხრივ ვრეე არუტიუნიან, შემდგომში „შემსრულებელი", საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია: საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვით განხორციელებული ნინოწმინდის მუნიციპალიტეტისათვის კარტრიჯების დატუმბვა.

ხელშეკრულების ღირებულება

შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 700 (შვიდას) ლარს.

2. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებსა და შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. ნინოწმინდა პუშკინის ქ № 43.

3.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა, 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მოწოდება ფორმდება სასაქონლო ზედნადებით „დამკვეთისა" და „შემსრულებლის" უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5. ანგარიშსწორების ფორმა

შემსრულებელთან ანგარიშსწორება წარმოებს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

6. მხარეთა უფლება - მოვალეობანი

6.1 დამკვეთი და შემსრულებელი იღებს ურთიერთვალდებულებებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის სრული დაცვით.

6.2 დამკვეთს უფლება აქვს:

ა. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე

ბ. მოითხოვოს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრა დამატებითი ანაზღაურების გარეშე;

გ. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება. ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

6.3 დამკვეთი ვალდებულია :

ა. სქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ფორს-მაჟორული სიტუაციების დადგომისთანავე;

ბ. აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

6.4 შემსრულებელს უფლება აქვს:

ა. მოითხოვოს დამკვეთისაგან შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;

ბ. დააყენოს დამკვეთის პასუხისმგებლობის საკითხი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

6.5 შემსრულებელი იღებს ვალდებულებას:

ა. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვა;

ბ. წინასწარ აცნობოს მომხმარებელს მოსალოდნელი შეფერხების შესახებ;

გ. საქმის კურსში ჩააყენოს შემსყიდველი ფორს-მაჟორული სიტუაციის დადგომისთანავე.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

7.1 თუ შემსრულებელი არ ასრულებს ვალდებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, დამკვეთი აფრთხილებს წერილობით, რათა მან უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების განუხრელი დაცვა.ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში დამკვეთს უფლება აქვს შემსრულებელთან წერილობითი შეთანხმების გარეშე სათანადო რეაგირებისათვის მიმართოს კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას.

7.2 თუ დამკვეთი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, შემსრულებელს უფლება აქვს გამოიყენოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ზომა.

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებათასრულად ან ნაწილობრივ შესრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეული იქნება დაუძლეველი (ფორს-მაჟორულ) გარემოებათა გამო, როგორიცაა ხანძარი,წყალდიდობა, მეწყერი, ომები და სხვა.

8.2 მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორული სიტუაცია, ვალდებულია აღნიშნულის დადგომისთანავე დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

9.1 ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი გადასინჯვას არ ექვემდებარება.

9.2 ხელშეკრულებების პირობების შეცვლა დასაშვებია ურთიერთშეთანხმების შემდეგ, თუ ამით არ ილახება ერთ ერთი მხარის ინტერესები.

10. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

10.1დამკვეთი ორგანიზაცია უფლებამოსილია აწარმოოს შესასყიდი ობიექტის ხარისხის ინსპექტირება ნებისმიერ ეტაპზე თავისი წარმომადგენლის მეშვეობით.

11. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

„დამკვეთი"
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი
ქ. ნინოწმინდა პუშკინის ქ. 43
ს/კ 236689669
ანგ. ნომერი GE51LB0120146252122000
ბანკის კოდი LBRTGE22

„შემსრულებელი"
ქ.ნინოწმინდა, თავისუფლების ქ.#56
„ტაოპრივატბანკი" მინი განყოფილება
ს/კ 32001008184
ბანკის კოდი 220101702
ანგ. ნომერი GE81TP0036010040000180

მხარეთა ხელმოწერები:

ვ. სტამბოლციანი

[illegible]